როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ხუთშაბათი, 3 ივლისი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 3 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 538 | ქ. მ. ტ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო. ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 სა თამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ივლისიდან ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი" ეღირება №--3 კაპ., თვიურად 70 კაპ.

ითელ-არმიელთათვის ნაწილში ან სოფელში მიწოდებით 50 კაპ.

გაზეთ „წითელ-არმიელის" კანტორა.

## მუსოლინი მაინც დამარცხდება.

მატეოტის მკვლელობამ წარუშ-ელი დიდი დასტოვა იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ნიადაგზე ამოცენებული მღელვარება არამც ჩუ არ სცხრება, არამედ დღითი ღე ფართოვდება.

მთელი იტალიის საზოგადოებრი-ი აზრი აღშფოთებულია ამ ვერაობით და ილაშქრებს ფაშიზმის წინააღმდეგ.

ყველაფერი ეს თავის თავად გუისხმობს ფაშიზმის აღსასრულის ახლოვებას. ფაშისტების ორი წლის აგაშვებულმა დიქტატურამ და უპასუხისმგებლო თარეშმა უაღრესად ასცა იტალიის ეკონომიური ცხოვრება და უკიდურეს დონემდე მიიყვანა მშრომელთა მასების მდგომარეობა. ფაშიზმის წინააღმდეგ დღეს მხედრებულია არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, რომელსაც მობეზრდა შავ-ბლუზიანების გამუდმებული ტერორი და ანარქია.

იტალიის საშუალო ბურჟუაზია დღეს მიილტვის თავი დააღწიოს მუსოლინის განუსაზღვრელ დიქტატურას და შექმნას თავის ძალაუფლება დამყარებულ „კანონიერებაზე".

ამ მიზნით ის სარგებლობს ყოველიივე ისეთი შემთხვევით, რომელიც ურს უთხრის ფაშიზმს. ასეთ შემთხვევათ უნდა ჩაითვალოს მატეოტის მკვლელობა. მთელი ოპოზიცია განგრახ აზვიადებს ამ საქმეს და მოითხოვს მთავრობის გადადგომას.

მუსოლინი ძალა უნებურად იძულებულია ანგარიში გაუწიოს მემარცხენეებს, რადგან მშრომელთა მასების მღელვარება იმ ზომამდის აღწევს, რომ ფაშისტები უძლური არიან დაშალონ დემონსტრაციები, რომლებიც 40—50 ათასამდე აღწევენ.

ამ მიზნით მუსოლინიმ მოახდინა ზოგიერთი ცვლილებანი თავის მთავრობის შემადგენლობაში ე. ი. გამოსცვალა ზოგიერთი მინისტრები. ამით მას სურს თვალი აუხვიოს ხალხს, რომ თითქოს, თუ გამოიცვალა რომელიმე ფაშისტი მინისტრი მეორე ფაშისტით ამით რაიმე შეიცვლებოდეს. სინამდვილეში კი ეს უბრალო ხრიკია, რომელიც მიმართულია ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ.

მაგრამ გაუვა კი ეს ხრიკები მუსოლინს?

არამც და არა. ფაშიზმა გაიხრწნა, რადგან მან უკვე შეასრულა თავისი დანიშნულება. ბურჟუაზია დღეს სხვა მეთოდებს და საშუალებებს მიმართავს თავისი ძალა უფლების შესანარჩუნებლად. ის კვლავ დემოკრატიზმის და პარლამენტარიზმის იდეას აყენებს დღის წესრიგში. ასე მაგალითად ინგლისში და საფრანგეთში ფაშისტური მთავრობები შეიცვალენ საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შედგენილი მთავრობებისაგან

ასეთივე მომავალი აქვს იტალიასაც.

ვერავითარი ხრიკები ვერ იხსნის ვერც მუსოლინს და ვერც მის დამქაშებს აუცილებელ მარცხისაგან.

## მოლაპარაკების საქმე კარგათ მიდის.

„დეილი-გერალდის" დიპლომატიური კორესპონდენტის ცნობის თანახმად, ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების საქმე კარგად მიდის.

რუსეთის ვალის შესახებ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინგლისის კრედიტორთა გადაწყვეტილება საბჭოთა დელეგაციის წინადადების შესახებ, გავლენას იქონიებს მთავრობათა მოლაპარაკების წარმატებაზე.

### თათბირი დაინტერესებულ პირებთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მოხდა თათბირი საბჭოთა კავშირის ცნობით დაინტერესებულ ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომლებმაც გამოსთქვეს თავიანთი თვალსაზრისი.

### კონფერენციის გარშემო.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მოწყობის შესახებ.

საკითხი ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენარულ სხდომის გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანიათ. მაკდონალდმა თემთა პალატაში შეკითხვაზე—მიეცემა თუ არა პალატას შესაძლებლობა განიხილოს კანიკულებამდი ინგლის-საბჭოთა კონფერენციის შედეგები—განაცხადა, რომ მას სურდა მიენიჭებია ეს შესაძლებლობა, მაგრამ ეს შესაძლებელია კომისიიდან მიღებულ ცნობის შემდეგ. შეკითხვაზე—არის თუ არა შედეგები განხილვისათვისა მაკდონალდმა დადებითად უპასუხა.

## საფრანგეთი.

### პრესის აზრი სოციალისტების ხმის მიცემაზე რურის საკითხში.

სოციალისტების ხმის მიცემას კრედიტზე—რურის ოკუპაციის გასაგრძელებლად, განმარტავს მემარჯვენე პრესა. პრესის აზრით სოციალისტების მერყეობა ნიშნავს მემარცხენე გაერთიანების დაშლას.

„იუმანიტე" მიმართავს მუშა-სოციალისტებს შეკითხვით: „ნუთუ სოციალისტურ ბელადების უმაგალითო გამცემლობა, რომლებმაც ხმა მისცენ ნაციონალურ ბლოკთან ერთად, არ აუხელს ბოლოს მათ თვალებს?"

### 7 წლის ციხე ფაშისტის მოკვლისათვის.

ანარქისტ კასტანიას, რომელსაც ბრალი ედებოდა ფაშისტის მოკვლაში, მიუსაჯეს 7 წლის ციხე.

## ამერიკა.

### ნავთის პანამის გარშემო.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ უზენაეს ჟიურიმ რომელიც არჩევდა ნავთის პანამის საქმეს, ბრალდებულად სცნო ფოლლე, დოგენი, დოგენის შვილი და სინკლერი, დოგენის შვილს გარდა, ყველას ბრალი ედება შეთქმულობაში მთავრობის მოტყუილების მიზნით.

დოხენიმ განაცხადა, რომ, მან ათხოვა შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ფოლლეს 100.000 დოლარი, ჟიურის დადგენილება ფორმალური ბრალდებაა, მსჯავრი უნდა დასდოს ჩვეულებრივმა სასამართლომ.

## იტალია.

### იტალიის მეფეც „ამეტყველდა"

მეფემ სიტყვით მიმართა სენატისა და პალატის პრეზიდიუმის წარმომადგენლებს, რომელმაც მატეოტის მკვლელობის შესახებ განაცხადა; „ამ ჟამად, როდესაც ეს ბოროტმოქმედება ერთგვარ აღშფოთებას იწვევს, როგორც ჩემში, ისე მთავრობაში და ხალხში, საჭიროა, რათა პალატებმა გამოიჩინონ სიმამაცე და მზად იყონ შერიგებისათვის."

გერმანიის მთავრობის მიერ გაგზავნილ საპასუხო ნოტაში ნათქვამია რომ გერმანიის ხალხს კვლავ მიენიჭება უფლებები, რომელიც მას ჰქონდა ხელშეკრულების ძალით.

(დეპეშებიდან)



გერმ. ბურჟუა.—... ჩვენ კვლავ მოგვენიჭება თავისუფლება...
შებოჭილი მუშა (თავისთვის ფიქრობს)—თქვენ დიდი ხანია ხართ თავისუფალნი ეხლა ჩემი ჯერია...

## კომინტერნის მეხუთე კონგრესი

### 1-ლ ივლისის საღამოს სხდომა.

### ამხ. ტომ მანის სიტყვა.

ამხ. ტომ მანი (სამხრეთ აფრიკის წარმომ.) აღწერს ნეგრების ცხოვრების მძიმე პირობებს სამხრეთ აფრიკაში, სადაც ფაქტიურად კიდევ არსებობს მონობა. თეთრი მუშები მტრულად უცქერია ნეგრებს, ნეგრები არ ეხმარებიან თეთრებს ბრძოლაში. ოქროს მადნებზე მუშაობის დროს ნეგრების სასტიკი ექსპლოატაცია სწარმოებს, უკანასკნელ დროს ნეგრებმა შეუდგენ შეკავშირებას და დიდ შედეგებსაც მიაღწიეს.

დასასრულ მანი ამბობს, რომ თეთრებმა ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ ნეგრებს, მხოლოდ ამ გზით შეძლება სოციალური რევოლიუციის მოხდენა სამხრეთ აფრიკაში.

### ამხ. გეორგესკუს სიტყვა.

ამხ. გეორგესკუ (რუმინეთიდან) აღნიშნავს რომ რუმინეთის კომპარტია ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას ნაციონალურ საკითხს. ბესარაბიის საკითხი რუმინეთ-საბჭოთა საკითხი კი არა, ევროპიული საკითხია. ამხ. გეორგესკუს განცხადებით, გლეხთა პარტიის ლიდერმა ლუკუმ განაცხადა, რომ თუ პლებისციტი მოხდება, ბესარაბიაში მყოფი რუმინეთის გლეხობა ხმას მისცემს სსრკ-სასარგებლოდ. კომპარტიამ უნდა გამოიყენოს ბესარაბიის, უნგრეთის და სხვათა ნაციონალური მოძრაობა პროლეტარული რევოლიუციის სასარგებლოდ.

### ამხ. ვასილიევის სიტყვა.

ამხ. ვასილიევი (გალიციიდან) აღნიშნავს, რომ ნაციონალური საკითხი გალიციაში—ეს არის ბრძოლა უკრაინის ღარიბ გლეხთა პოლონეთის მემამულეების წინააღმდეგ. ბრძოლას აქვს რევოლიუციონური—ტერორისტული ხასიათი და მიზნად აქვს გალიციის შეერთება საბჭოთა უკრაინასთან. პოლონეთის კომპარტია ვერ იდგა სწორ პოზიციაზე ნაციონალურ საკითხში. უკრაინის პარტიის ამოცანა არის ბრძოლა უკრაინის და პოლონეთის ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

### ამხ. ამპტერის სიტყვა.

ამხ. ამპტერი (ამერიკიდან) აღნიშნავს, რომ ნეგრთა საკითხი წარმოადგენს მსოფლიო საკითხს. ხელმძღვანელობა უნდა აიღონ ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის ნეგრებმა, როგორც შედარებით უფრო განათლებულებმა. პარტიამ საჩქაროდ უნდა დაიწყოს აღმზრდელობითი მუშაობა ნეგრთა შორის და შექმნას ნეგრთა პრესა.

# ჩვენ და ისინი.

## სავაჭრო წარმომადგენლობის გაუქმება.

სავაჭრო წარმომადგენლობის სამართველომ დაითხოვა კიდევ 6 თანამშრომელი და 12 მიავლინა სხვა ქვეყნებში. სავაჭრო წარმომადგენლობისადმი ბრძანებაში ნათქვამია: „ვინაიდან გერმანია-საბჭოთა კონფლიქტი კიდევ მოუგვარებელია, სავაჭრო წარმომადგენლობას 1-ლ ივლისიდან შეუძლია დაიწყ..ს სალიკვიდაციო მუშაობა, რისთვისაც საჭირო წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლები, გარდა დათხოვნილ 250 კაცისა, რჩებიან დროებით-ერთი თვით, ლიკვიდაციის ჩასატარებლად.

## გაზეთის კონფისკაცია.

კონფისკაცია უყვეს „ინტერნაციონალი პრესა-კორესპოდენტ“-ის მორიგ ნომერს, ვინაიდან მასში მოთავსებული იყო წერილი, ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის შესახებ.

## ცნობის უარყოფა.

გავასის სააგენტომ ბრიუსელიდან შემდეგ იდეპ. მიიღო „გენტის საკოოპერაციო გამოფენის მომწყობი კომიტეტი აცხადებს, რომ არ ყოფილა ჩამორთმეული არც ერთი ცალი წიგნი—„ლენინი და კოოპერაცია“. კომიტეტმა ცენტრო კავშირიდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც შუამდგომლობას სთხოვს ბელგიის ხელის უფალთა წინაშე, რათა მიეცეს მათ ცენტრო კავშირს ბროშურების შეტანის ნება ბელგიაში.

## არგენტინა მზადაა იცნოს ს. ს. ს. რ.

არგენტ:ნიდან იუწყებიან, რომ კონსერვატიული პარტიის ბელადი, რუდოლფო მორენო სვამს საკითხს ურთიერთობის განახლების შესახებ საბჭოთა კავშირთან. პროგრესიული დემოკრატები და სოციალისტები ემხრობიან ურთიერთობის განახლების საკითხს. შესაძლებელია, რომ დეპუტატთა პალატა ჩქარა შეუდგება საკითხის განხილვას და ურჩევს მთავრობას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას, ყველა ფრაქციების შეთანხმების გამო.

---

# მატეოტის მკვლელობის გარშემო.

## ოპოზიცია უკმაყოფილოა.

მინისტრების გამოცვლა, რაიც მოყვა იტალიაში მატეოტის მკვლელობას შედეგია საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთშორის შეფარდებისა და ფაშისტების ცდისაგან—განამტკიცონ თავისი მდგომარეობა მარცხნისაკენ დახევით.

ოპოზიცია აცხადებს, რომ კაბინეტის ნაწილობრივი განახლება არ არის საკმარისი იმისთვის, რათა ოპოზიციამ განაახლოს მონაწილეობა საპარლამენტო მუშაობაში. ოპოზიცია უკმაყოფილოა აგრეთვე მეფის სიტყვით რომელიც წარმოსთქვა მან სენატორთა და პარლამენტის დელეგაციის მიღების დროს. დელეგაციაში კენჭის ყრით არჩეულმა დეპუტატებმა უარი განაცხადეს მიეღოთ მონაწილეობა ცერემონიაში სეფე სიტყვის წარმოთქმის დროს.

## მუშათა დემონსტრაცია.

მილანში, ფაშისტების მიერ მოკლულ ტრამვაის მუშის დასაფლავებაზე მონაწილეობას იღებდა 50.000 კაცი. დასაფლავებაზე მოსულ მმართველ უმრავლესობის დეპუტატებს ხალხი შეხვდა პროტესტით და ძახილით: „ძირს“. დასაფლავების შემდეგ ხალხმა იმღერა ინტერნაციონალი. როცა კომუნისტ დეპუტატმა რეპსიმ გამოვიდა სიტყვით, ჯარის რაზმებმა გარეკეს ხალხი. დაპატიმრებულ იქნა 48 კაცი.

## მატეოტის ქვრივის განცხადება.

მატეოტის ქვრივმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს წარუდგინოს სამოქალაქო საჩივარი მკვლელებს თავისა და შვილების სასარგებლოდ.

---

# რადიო ყოველ მხრიდან

## პოლონეთი.

### ციხეში აჯანყების შესახებ

გამოირკვა, რომ ციხის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ პოლიტიკურებს. გაიქცნენ განსაკუთრებით მკვლელობისათვის, ყაჩაღობისა და დეზერტირობისათვის მისჯილები.

## ლონდონის კონფერენცია.

გავასის სააგენტოს ცნობის თანახმად პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია არ იქნებიან მიწვეული ლონდონის კონფერენციაზე.

ლონდონიდან მიღებულ ცნობით, ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, იტალიამ, შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ მიიღეს მიწვევითი ბარათი ლონდონის კონფერენციაზე დასასწრებლად.

## იაპონია

### გაფიცვები იაპონიაში.

უკანასკნელ დღეებში იაპონიაში გაიფიცა 2.000 ელექტრო ტრამვაის ხაზის მუშა, 1.300 მოტორის მუშა და სხვა. უმრავლესობა მოითხოვს, შრომის პირობების გაუმჯობესებას და ზოგიერთ უფლებებს კავშირთა ორგანიზაციებისთვის. პოლიცია აპატიმრებს მუშათა ბელადებს.

იაპონიის შრომის ფედერაციამ მოაწყო კომიტეტი, რომელიც აგროვებს ფულებს გაფიცულთა დასახმარებლად.

---

# გერმანია

## სრულიად გერმანიის მუშათა კონგრესის დატყვევება.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მიერ ეიზენახში მოწვეული კონგრესი გახსნისთანავე იქნა გარეკილი პოლიციის მიერ. დაპატიმრებულ იქნა 400-დი მონაწილენი. დაკავებულია რეიხსტაგის 7 დეპუტატი, მათ რიცხვში როზენბერგი, კაცი, შიუტცი და კენენი.

## ტევტონელთა შეტაკება მუშებთან.

ბრანდენბურგში, პარტიულ დროშის ქვეშ ტევტონელებმა მოაწყვეს მანიფესტაცია. ფრანგების მიერ რურში დახვრეტილ შლაგსტორის ძეგლის აგებასთან დაკავშირებით, ლიუდენდორფმა წარმოსთქვა სიტყვა, რის შემდეგ მოწყობილ იქნა დემონსტრაცია პოლიციის მფარველობის ქვეშ. მოხდა ტევტონელთა მუშებს შორის შეტაკება. ორივე მხრით არიან მძიმედ დაჭრილები.

## „მიზეზი“ იპოვეს

„როტე ფანე“-ს დახურვა გამოწვეულია ორი კვირის წინად დაბეჭდილ ებერლეინის წერილით მასიურ ტერორის შესახებ.

## გერმანიის საპასუხო ნოტა.

გერმანიის პასუხში ნოტაზე სამხედრო კანტროლის შესახებ ნათქვამია, რომ გერმანია ემორჩილება საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილი იქნება გერმანიის ყოფილი სამხედრო ქარხნების ინსპექციის შემდეგ. გერმანიის მთავრობა დარწმუნდა, რომ გერმანიის მთავრობას კვლავ მიენიჭება უფლებები, რომელიც მას ჰქონდა მოლაპარაკების ძალით, და სარეპარაციო საკითხის გადაჭრა იქნება ერთაშორის ურთიერთობის ხანის შესავალი. პასუხში აღნიშნულია, რომ გერმანიის სასპორტო კავშირები არ უნდა აღელვებდეს უცხოელ სახელმწიფოებს.

## გერმანიის საპასუხო ნოტა.

### შთაბეჭდილება პარიზში.

„ფორვერსტის“ ცნობის თანახმად გერმანიის პასუხმა მოკავშირეთა ნოტაზე კონტროლის შესახებ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პარიზში. ნოტას აფასებენ, როგორც გერმანიის მთავრობის წრფელ სურვილს მიეგებოს ერიოს სურვილებს.

## ინგლისის პრესის გამოძახილი.

ლონდონის პრესა აღნიშნავს შეთანხმებითი ხასიათს, რომლითაც გამსჭვალულია ნოტის შინაარსი.

„ვესტმინსტერ გაზეტტ“-ი ამბობს, რომ გერმანიის საკითხი უფრო დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, ვინემ მოსალოდნელი იყო.

## შტრეზემანის განცხადება.

შტრეზემანი კომენტარიებს უკეთებს გერმანიის საპასუხო ნოტას სამხედრო კონტროლის შესახებ და ამბობს, რომ საჭიროა შეთანხმება მოკავშირეებთან კონტროლის პირობების შესახებ. ექსპერტთა გეგმის ასრულების შესახებ შტრეზემანმა განაცხადა, რომ ეს გეგმები გამოდიან ვერსალის ხელშეკრულების ფარგლებიდანო. კომპენსაციის სახით გერმანია მოითხოვს საოკუპაციო ოლქების ევაკუაციას.

---

# ინგლისი

## გაფიცვების წინ.

ვულვიჩის არსენალის 7.000 მუშამ გაფიცვის წინადადება შეიტანა იმ შემთხვევისთვის, თუ რომ მთავრობა უარყოფს მათ მოთხოვნილებას 6 შილინგის მომატების შესახებ კვირაში.

## მაღაროს მუშათა მოთხოვნილება.

სამხრეთ უელისის მაღაროს მუშათა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ყველა მაღაროს მუშამ, 60 წლის შესრულების შემდეგ უნდა დაანებოს თავი მუშაობას და ეძლიოს მათ კვირაში 2 გირვანქა სტერლინგი.

## კომუნისტების დევნა.

ლეიპციგში სასამართლომ მიუსაჯა კომუნისტ ელსნერს და პუტს ფურცლების გავრცელებისათვის სამი წლის ციხე. პატიმარ კომუნისტ-დეპუტატს, ციხის რეჟიმის აწერისათვის მიუმატეს კიდევ 3 თვის ციხე.

---

# ბ-ნი ჟორდანია კონტრ-რევოლიუციონურ ავანტიურიზმის იდეოლოგიის როლში.

ბევრი თქმულა და დაწერილა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის გახრწნის და დაშლის შესახებ. მას შემდეგ, რაც ამ პარტიის რიგებს გამოეთიშა ყველაფერი ის, რაც იყო მასში პატიოსანი და რევოლიუციონური. მას შემდეგ, რაც ის გარდიქცა აშორებულ მძორად და დამარხულ იქნა საქართველოს მშრომელთა ხალხის მიერ, ზედმეტი იყო, თითქოს ლაპარაკი ამ აწ უკვე განსვენებულ პარტიაზე.

მაგრამ თუ ჩვენ გვიხდება მასზე დღეს ლაპარაკი, კვლავ განმეორება მისი გამცემლური, კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობის შესახებ—ამაში დამნაშავეა თვით განსვენებული საქართველოს მენშევიზმის ბელადი ბ-ნი ნოე ჟორდანია.

როგორც სჩანს ბ-ნ ჟორდანიას დღემდისაც მაგრად ჰქონებია გული და კიდევ ოცნებობს თავის ტახტის აღდგენაზე.

ჩვენ ხელთ არის მისი უკანასკნელი წერილი მენშევიკური ცეკასადმი, სადაც ის აშკარავებს საერთოდ მენშევიზმის და კერძოთ მის კონტრ-რევოლიუციონურ ზრახვებს. მისი მიზანი მდგომარეობს მასში, რომ დაამხოს საბჭოთა ხელისუფლება და კვლავ გაამეფოს დემოკრატიული ხელისუფლება ე. ი. ბურჟუების და მემამულეების ბატონობა საქართველოში.

ამ მიზნის მისაღწევად მას ორი გზა აქვს არჩეული. ერთი გზა არის საბჭოთა კავშირის შინაური ან გარეშე კრიზისით სარგებლობა, რომელიც მისი აზრით იქნება მომავალში.

როგორც სჩანს ბატონ ჟორდანიას სულ აბნეული უნდა ქონდეს დავთარი.

როდესაც ჩვენ წინ მივიწევთ აღორძინებისა და განმტკიცების გზაზე ის კიდევ კრიზისზე ლაპარაკობს და მისგან მოელის შველას. ტყუილი იმედებია.

ასეთი კრიზისები ბევრჯელ გვიწინასწარმეტყველებდენ ბატონი მენშევიკები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონური ნაძირალები, მაგრამ მათ საუბედუროთ რაც წინ მივიწევთ მით გვშორდება თავიდან ყოველგვარი სერიოზული კრიზისის საფრთხე. ასე რომ ამ მხრივ მეტად ცუდი გზა აურჩევია მენშევიზმის „უბადლო“ სტრატეგს საბჭოთა ხელისუფლების დასამარცხებლად.

მაგრამ მეორე გზაც აქვს მას. ეს ამიერ კავკასიის ფარგლებში შეიარაღებული აჯანყების საშვალებით მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამარცხება. (აი რა გათახსირებამდის მიდის მენშევიზმი). ის სოციალ დემოკრატია, რომელიც წინააღმდეგია ბურჟუაზიასთან შეიარაღებული გზით ბრძოლისა და მოუწოდებს მუშებს მასთან თანამშრომლისკენ, მომხრეა და მიზნად დაუსახავს ავანტიურისტულ აჯანყებებისა, შეიარაღებული საშვალებებით დაამხოს მუშებისა და გლეხების ძალაუფლება

აი რას ლაღადებს რეაქციონურ მენშევიზმის ბელადი.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება თუ ვისი მეოხებით ლამობს ეს ვაჟბატონი აჯანყების მოწყობას—კავკასიონის მთიულებისა და აზერბეიჯანის გლეხების საშვალებით. აი ვინ უნდა აიყოლიოს მენშევიკურ ნაძირალებმა.

საბრალო ავანტიურისტები! მათ დაკარგეს იმედები მუშებზე და თავის იმედებს ამყარებენ მშრომელ გლეხობაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სასტიკად სტყუვდებიან იმპერიალიზმის ლაქიები.

აზერბეიჯანის და მთიულეთის მშრომელ გლეხობამ კარგა ხანია კისერი მოსტეხა თავის ბეგებ-აღებს ბატონობას და მტკიცედ სდგას საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე

ვერავითარი მენშევიკური პროვოკაცია მათში ვერ იპოვის გამოძახილს, გარდა სასტიკი წინააღმდეგობისა ავანტიურისტების წინააღმდეგ.

ვიმეორებ, ჩვენ ყველა ამ აბდაუბდას არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ სახეში არ გვქონოდა ერთი გარემოება. ბევრს დღემდის კიდევ იმედი ჰქონდა მენშევიკურ ლიდერების გამოსწორებაზე.

ამიერიდან კი დეე ყველამ გაიგოს თუ რა საზიზღარი ზრახვებით და მიზნებით გამსჭვალული არიან ბატონი ჟორდანიები. ვერავითარი ძალა მათ ვერ გაასწორებს, სამარის გარდა.

მათ მტკიცედ გადასწყვიტეს მუდამ იბრძოლონ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მაგრამ კარგათ დაიმახსოვრონ თითეულ მათ ცდაზე მიმართულს მუშურ-გლეხური საქართველოს წინააღმდეგ, ჩვენ უპასუხებთ ასჯერ მეტად.

—მ.




## კურსანტები ბანაკში.

გაშლილი ველ-მინდორი, მთა-გორაკები მწვანედ ბიბინებს.

თვალი ისვენებს, გული სასიამოვნოდ სცემს, როდესაც მიმოიხედავ და თვალს მოავლებ შემოგუმბათებულ არე-მარეს. თეთრად ჩამწკრივებულა კარვები მთის ძირში.

ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი, საბოლოოდ იწვრთნება აქ სამხედრო საქმეში.

მთელი ზამთრის განმავლობაში შეძენილ-შესწავლილი გადატანილია ბუნების წიაღში.

აქ შეიქმნება და ჩამოყალიბდება ის ხელმძღვანელი ძალა, რომელსაც უფლება მიენიჭება აღზარდოს, გაწვრთნას და ღირსეულად მოამზადოს ჩვენი წითელი ლაშქარი. ამ მომავალ წითელ მეთაურებზეა დამყარებული ჩვენი ჯარის მომავალი. ჯარი კი ისეთი უნდა გვეყოლოს, რომელიც შესძლებს გმირულად გაუმკლავდეს ჩვენი მტრებისაგან დაწყებულ მომავალ საშიშ ომებს. ძალიან კარგათ აქვთ წარმოდგენილი ეს ჩვენს კურსანტებს და ამიტომაა, რომ ეგრე მუყაითად ეკიდებიან თავის საქმეს.

გათენდება თუ არა დაიწყება მზადება, ხმაური ქვილ-ხივილი. ზოგი მიდის ტაქტიკურ სამუშაოზე, ზოგი ტოპოგრაფიულზე, რიგს თოფი და სხვა იარაღი მოუმზადებია, ზოგი ცხენებს ჰკაზავს და აბამს ზარბაზნებში.

გაიცლება კარვები, დადუმდება მიდამო, მაგრამ ახმაურდება მინდორი ტყე და ველი.

საღამოზე სიმღერით მოემართებიან კარვებისაკენ. რჩებიან კარვებში პოლიტიკური მომუშავენი, სპორტის მწარმოებელნი, მუსიკოსები. ესენი აქ ამეცადინებენ და სწვრთნიან გამოყოფილ ნაწილებს.

ერთი სიტყვით აქ სიცოცხლე დუღს და გადმოდის, არ იკარგება არც ერთი წამი უაზროდ და უშედეგოდ—მეცადინეობა ყოველ დარგში და ყოველმხრივი—ერთი მეორეს ეჯიბრება და ყველა იმის ცდაშია რომ სხვას აჯობოს.

ასეთი შეთანხმებული მუშაობა დიდი შედეგების თავდებია. სათანადო ჯილდოს და პატივისცემას მიიღებენ საბჭოთა ხელისუფლებისაგან ის უფროსი ამხანაგები, რომლებიც ასეთი ენერგიით და თავდადებით ეკიდებიან თავის მოვალეობას.

მოვესწროთ მათთან ერთად მთელ ევროპაში აგვეფრიალებიოს თავისუფლების დროშა. ეს იქნება უფრო დიდი ჯილდო მათთვის და მთელი მშრომელი ხალხისთვის.

ცინცაძე.

## საარტილერიო პარკი.

20 ივნისს შესდგა საარტილერიო პარკის პირად შემადგენლობის კრება. მრავალი საყურადღებო საკითხები იყო დასმული დღის წესრიგში.

საყურადღებო იყო ამხ. კვირიკაძის მოხსენება წითელი არმიის ისტორიის შესახებ. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მან ახალწვეულებზე. ისინი გულდასმით უსმენდენ წითელი ჯარის განვლილი მოქმედების შესახებ სიტყვებს. მცირე ჯგუფებიდან დიდი ძლევა მოსილი არმიის შექმნა, დიდი ომები, დამარცხებები, გამარჯვებები აი როგორი სურათები იშლებოდა ახალწვეულების წინაშე. მოხსენებამ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე და შესაფერი რეზოლიუციაც იქნა მიღებული.

გაირჩა აგრეთვე სხვა მრავალი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები, როგორიც იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფის შესახებ და სხვა. პოლიტ-განმანათლებელი სექციის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩხიკვიშვილი, კრება იწონებს ძველი გამგეობის მუშაობას და ძველი გამგეობის განცხადების თანახმად არჩეულ იქნა ახალი გამგეობა.

ბოლოს განმარტებული იქნა კედლის გაზეთის მნიშვნელობა. კრებამ აირჩია ახალი სარედაქციო კოლეგია, და დაავალა მას, ენერგიული მუშაობის წარმოება კულტურულ განმანათლებელ ფრონტზე.

სამხკორი.

## მუშაობა სდუღს.

პირველი ლეგიონის პირველ ასეულში დაარსდა კომუჯრედი. ამხ. ანდღულაძე ციბრუტივით ტრიალებს და თავს ევლება კომუჯრედს. ეხლავე დაიწყო გაცხოველებული მუშაობა. ჩავითრიეთ უპარტიო წითელ არმიელებიც, რაც დიდ სიხარულს მატებს ჩვენს მუშაობას. ახალწვეულები უფრო ცნობის მოყვარეობით და სიხალისით ეკიდებიან მუშაობას.

27 ივნისს შესდგა ახლად დაარსებული კომუჯრედის პირველი სხდომა. დაესწრენ უპარტიო ამხანაგებიც. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გაირჩა სხდომაზე.

აქ ლაპარაკი იყო ლენინის კუთხის, კომპარტიისა და წითელი ჯარის პარტკორის, კომუჯრედის მდივნის, წითელი კუთხის გამგის და სხვათა არჩევის შესახებ. ყველა საკითხების განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდენ ამხანაგები და შესაფერი დადგენილებებიც გამოქონდათ. ბოლოს წითელ არმიისა და კომპარტიის შესახებ გამოიტანეს რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ პირველი ლეგიონის პარტიული ამხანაგები ამავე ლეგიონის უპარტიო მოლაშქრეებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძოლებენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

აქვეა აღნიშნული, რომ უჯრედის მთელი მუშაობა მიმართული იქნება იმ მხრივ, რომ რაც შეიძლება მეტი ამხანაგები იქნეს ჩაბმული კომუნისტურ პარტიის რიგებში. ბოლოს არჩეული იქნენ სამხკორი, ლენინის კუთხის გამგე და სხვა, რომელთაც მიიღეს სათანადო დირექტივები და დავალებები.

ასე დაიწყო ჩვენი მუშაობა და ასეთივე ენერგიით გაგრძელდება მომავალში.

შ. კვინიკაძე.

## როგორ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.

სამხედრო მეცადინეობა დიდი ნაყოფიერებით მიმდინარეობს ჩვენს ბანაკში. სპეციალური ხასიათის მუშაობა კიდევ უფრო აინტერესებს ახალწვეულებს.

თითქმის მთელი დღეები საქმიანობაში ტარდება, არც ერთი წუთი უმოქმედოთ არ რჩება.

სამხედრო და სპეციალური მეცადინეობის შემდეგ სწარმოებს კულტურული ხასიათის მუშაობა, რომელშიაც ვაბამთ ადგილობრივ გლეხობასაც.

ხშირად იმართება წარმოდგენები რომლებსაც აუარება საზოგადოება ესწრება.

ამას წინად საკავშირო ასეულის დრამწრის ხელმძღვანელობით დაიდგა პიესა „რევოლიუციის რიჟრაჟზე" აუარება საზოგადოება დაესწრო. გლეხები თავისი ოჯახობით, აქვე მდგომ ნაციონალურ ნაწილებიდან მოსული ამხანაგები და სხვა. წარმოდგენის წინ სიტყვით გამოვიდა ამხ. მაჩიტაძე.

ის შეეხო წითელ არმიას, გლეხებსა და ჯარის შორის კავშირის მნიშვნელობას, და იმედი გამოსთქვა რომ საბჭოთა მთავრობა მხოლოდ ასეთი გაერთიანებული ფრონტით დასძლევს თავის მტრებსო.

შემდეგ წავიდა პიესა, რომელიც მშვენივრად ჩატარდა. და ბოლოს ადგილობრივი გლეხების მონაწილეობით გაიმართა ცეკვა-თამაში. საღამომ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. ასეთი საღამოები ხშირად გაიმართება ჩვენთან, რომლებიც უფრო დაგვაახლოვებს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ხერმონია.

## პირველი ლეგიონის ცხოვრებიდან.

ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან მოვიდენ ჩვენს ლეგიონში ახალ წვეულები. ამნაირად შესდგა ერთი თბილი ოჯახი, სადაც ყველაფერი კეთდება ამხანაგურ განწყობილებაში. ყველა განსაკუთრებულ ენერგიას იჩენს თავის მოვალეობის ასრულებაში წითელი მოლაშქრეებიც დიდ ყურადღებას აქცევენ სამხედრო ცოდნის შეძენას.

მეთაურთა შემადგენლობა სიამოვნებით და დაუღალავ ენერგიით ეპყრობა სამხედრო სწავლების მეცადინეობის საქმეს. მათ მიერ გადადგმული თითეული ნაბიჯი მიმართულია წითელ მოლაშქრეების ფიზიკურად გაჯანსაღების და კულტურულად გათვითცნობიერებისაკენ. აღსანიშნავია ის უდიდესი მიღწევანი საბჭოთა ხელისუფლებისა, რასაც ჩვენის თვალით ვხედავთ, თუ როგორ ამხანაგურ და ძმურ განწყობილებაში ატარებენ სამხედრო სამსახურს ჩვენი ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელი მოლაშქრენი.

ალჩიძ

## რაზედ ვწერენ

### ჩვენი მუსიკა—ჩვენთან უნდა იყოს.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკას ჯარში.

განსაკუთრებით ახალ წვეულ წითელ არმიელზე მუსიკა მომაჯადოებელ გავლენას ახდენს. არც კინო, არც თეატრი და არც სხვა რამე ისე არ მოქმედობს მათზე როგორც მუსიკა.

მაშასადამე ჩვენი ლეგიონის მუსიკა ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს და სავსებით აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნილებას.

მიუხედა ად ამისა ის ოდნავადაც არ ასრულებს ამ ვალდებულებას.

გავმართავთ საღამოებს—გვინდა მუსიკა, ვეხვეწებით ჩვენს მუსიკალურ ჯგუფს რომ მოვიდეს.

მოვლენ, მარა ვაი იმისთანა მოსვლას.

დიდი ხვეწნაა საჭირო რომ რამდენიმეჯერ დაუკრან.

მაგიერად თუ კი ვინმე გარდაიცვალა მოგეცათ სიცოცხლე, ჩვენი ლეგიონის მუსიკა მყისვე იქ გაჩნდება.

ცირკში ყოველ ღამე ჩვენი მუსიკა უკრავს, ლეგიონი კი სრულიად არ ადარდებთ.

ნუ თუ ასე გაგრძელდება ბოლომდე.

ჩვენი მუსიკა პირველად ყოვლისა, ჩვენს ლეგიონს უნდა ემსახურებოდეს და შემდეგ სხვას.

ამხ. ინწკირველს კი მართებს დაფიქრდეს ამის შესახებ.

მე იმედი მაქვს, რომ ეს შენიშვნა უკანასკნელი იქნება ჩვენი მუსიკალური ჯგუფის მიმართ. ასეთ საქციელს მათ მხრივ მომავალში ადგილი აღარ ექნება.

ს. ყუბანეიშვილი.

## რქოსან საქონლის ჭირი.

### ამხანაგო წითელ—არმიელებო!

ქვემოთ მოყვანილი წერილი **რქოსან საქონლის ჭირის** შესახებ გაავრცელეთ თქვენი გაზეთის „წითელი—არმიელის" საშუალებით თქვენს სოფლებშიდაც.

ამ რამოდენიმე ათეული წლის წინეთ საქონლის ჭირი თავისუფლად დათარეშობდა, როგორც მთელს რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში. გადადიოდა სოფლიდან სოფელში, ასი ათასობით ხოცავდა საქონელს და ნივთიერად სავსებით ანადგურებდა მცხოვრებლებს.

საჭირო ზომების ენერგიული მიღებით 1896 წელს რუსეთმა სრულიად თავი დააღწია ჭირს და უკანასკნელ დრომდის, ე. ი. რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებამდის მის შესახებ აღარაფერი ისმოდა. სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე ამიერ-კავკასიიდან ჭირი ისევ შუაგულ რუსეთში შეიჭრა და აუარებელი ზარალი მიაყენა იქაურ მცხოვრებლებს. მიღებული ზომების საშუალებით ამ ხანაშიდაც მოუღეს ბოლო ჭირს რუსეთში, მაგრამ იგი ისევ დარჩა მოუსპობელი ამიერ-კავკასიაში და დღემდის დიდ ზარალს აყენებს საბჭოთა რესპუბლიკებს. ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ჭირის სრულიად აღმოფხვრას დიდად ხელს უშლის სპარსეთთან და ოსმალეთთან მოსაზღვრეობა. ხსენებულ სახელმწიფოებში თითქმის არავითარი მეცნიერულად დაყენებული ჭირთან ბრძოლის საშუალებები არ არსებობენ და ამ მხარეებიდან ვაჭრობის თუ სხვა მიზნით ამიერ-კავკასიაში შემოყვანილ საქონელთან ერთად თითქმის გამუდმებით საქონლის ჭირიც თან შემოდის.

საქონლის ჭირი ძალიან გადამდები და განმანადგურებელი სენია. ასი სული პირუტყვიდან ავად ხდება და კვდება 30-დან 80-მდე სული, ხანდახან მეტიც, ჯიშის სინაზე, საკვების ნაკლებობა, სიცივე და სხვა ამ გვარი მიზეზები ძალიან უწყობენ ხელს საქონლის ჭირისაგან დახოცვას.

ჭირით ავად ხდება, როგორც მსხვილ-ფეხა წყვილ ჩლიქიანი, ისე წვრილ-ფეხა წყვილ—ჩლიქიანი საქონელი და აქლემიც. განსაკუთრებით ეს სენი ემტერება მსხვილ-ფეხა წყვილ ჩლიქიან—ანუ რქოსან საქონელს. წვრილი წყვილ ჩლიქიანი საქონელი (ცხვარი თხა) და აგრე-

თვე აქლემი ისე სასტიკად არ ხდება ჰირით ავად, როგორც რქოსანი საქონელი. ადამიანს, ერთ ფლოქვიან საქონელს: ცხენს, ჯორს, ვირს, წვრილ ჩლიქიანს—ღორს, ძაღლსა და კატას საქონლის ჰირი არ ემართება.

პირუტყვი, რომელსაც ჰირი დაემართება, თავდაპირველათ ვითომდა კარგათ გრძნობს თავს, მაგრამ გაივლის თუ არა რამოდენიმე დღე, მას გამოაჩნდება ამ სენის ცხადი ნიშნები: ცხოველი ერთი-ორი დღე ზერე-ქვერე ავადმყოფობს, ტანში სიცხესა გრძნობს, საკვებს არა სჭამს, არ ნაცოხრობს, თავდაღუნული სდგას და მეწველი ძროხა თუ არის წველას იკლებს. მერმედ ავადმყოფს თვალები, ღრძილები და ენა უწითლდება, თვალებიდან ჯერ ცრემლები, შემდეგ ბალღამი მოსდის ღრძილებზე და ტუჩებზე საჭის მსგავსი ზლმურდლი ეფინება, რომლის ქვეშ პატარ-პატარა წყლულები ჩნდება, ცხვირიდან ჯერ მოყვითალო, მერე მომწვანო ფერის ლორწო ანუ წრბოლი გამოსდის, ავად გახდომიდან ორი-სამი დღის შემდეგ მყრალი სისხლ-ნარევი ფაღარათი უტყდება, ძლიერ ხდება და ბოლოს 4 ან 6 დღის შემდეგ ცხოველი კიდევაც კვდება.

ავადმყოფ საქონელს ჰირი მთელს ტანში აქვს გაბნეული: სისხლში, ფილტვებში, ღვიძლში, ჰაჰებში, ხორცში, ძვლებში, ტყავში, ცრემლში, ნერწყვში, ბალღამში, ოფლში, შარდში და განავალში. განავალით იგი სწამლავს ყველაფერს რაც-კი რამ მის ახლო-მახლო არის და მას ეხება, სადაც იგი სდგას და წევს. ასე რომ ავადმყოფი ცხოველი, სანამ იგი ცოცხალია, მთლად გაჟღენთილია ამ სენით.

ვეტ-ექიმი: ფარეიშვილი

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ლიუზიტის პაწია ნაწილაკები პირბადეებში ძვრებიან, რისთვის განსაკუთრებულ ფილტრებს (საწურავებს) ხმარობენ. ამერიკელთა ცნობით საუკეთესო ფილტრებათ ნაბდის ფილტრებია, მხოლოდ თუ სქელი ნაბადი იქნება ნახმარი, მაშინ, სუნთქვა პირბადეში გაძნელებული იქნება, მეტადრე თუ ნილაბში დიდხანს მოუხდებად ყოფნა.

ლიუზიტის საწინააღმდეგოთ, როგორც დარიშხანის ნაწარმოებისა, მოიხმარება განსაკუთრებულად დამზადებული ნახშირი, ქლორის კირი, პერმანგანატი.

გ. ბ—შვილი.

# ომი და ქიმია

**ლუიზიტი.**

ლუიზიტი დარიშხანის ნაწარმოებთა ერთ-ერთი ნივთიერებაა, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ომის დროს. ეს ნივთიერება გამოიგონა ამერიკის არმიის კაპიტანმა ლუისმა, რომლის სახელიც შემდეგში მიიღო ამ აღმოჩენამ.

ეს ამერიკული აირი 1921 წლამდე დიდის საიდუმლოებით ჰქონდათ შენახული, რომელიც ბრძოლის ველზე გამოცდილი არა ჰქონდათ და „სიკვდილის ნამს" უწოდებდენ, ვინაიდან წარმოდგენილი ჰქონდათ რომ იგი ჰაეროპლანებიდან გაიშლებოდა და გაითიშებოდა ჰაერში. ლუიზიტი წარმოადგენს სითხეს. იგი მზადდება აცეტილენისი და სამქლორიანი დარიშხანისაგან, ქლორის ალუმინის დასწრებით. გამოხდის დროს მიიღება სხვა და სხვა თვისების ნივთიერებანი.

პირველი გამოხდა ფრიად გახსნილიც კი, იწვევს კანის მტკივნეულ ანთებას, ბებერეების დაყრით კანზე და თავისი შხამიანობით მიაგავს ხარდალის აირს, მხოლოდ იგი კანში უფრო მალე შედის. ვირთხას მუცელზედ დასხმული 3 წვეთი ლუიზიტისა 1—3 საათის შემდეგ მის სიკვდილს იწვევს. ლუიზიტი აგრეთვე აღიზიანებს სასუნთქ გზებს, იწვევს ძლიერ ცხვირისცემინებას, და ხანგრძლივი შესუნთქვა კი ყელისა და გულის საშინელ ტკივილს.

ლუიზიტის მეორე გამოხდა კანს ნაკლებად აიარაებს შედარებით პირველთან, მხოლოდ სასუნთქ ორგანოებს ნამეტნავად ძლიერ აღიზიანებს.

მესამე გამოხდა ნაკლებადაა შხამიანი, მხოლოდ ძლიერ ცხვირის ცემინებას იწვევს.

საერთოთ კი უნდა აღინიშნოს, რომ ლუიზიტის მოქმედების შესახებ ძალიან მცირე ცნობები გვაქვს, რადგან იგი ომში არ იყო ნახმარი და ძნელია მისი თვისებების სინამდვილის დადასტურება.


ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲙᲠᲐᲡᲜᲐᲘᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 3 თვით) მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან" მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

№ 1.

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲨᲐᲒᲘ"

ფასი ერთი მანეთი.

ყიდვა და გამოწერა კრებულისა შეიძლება შემდეგი მისამართით: კეცხოველის ქუჩა (ყოფ. ლორის-მელიქოვისა), სამხედრო კომისარიატის სტამბის შენობა, სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის ბინაზედ.


# ახალი ამბავი

— **ბაღის გადაცემა სამხ. ნაწილისათვის.** გორის სამაზრო აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მდგარ ქართ. ტერიტორიალურ ლეგიონს კ. მარქსის სახელობის მოედანი და ბაღი.

— **ლენინის სახელობის წყარო და ძეგლი სურამში.** ხაშურის რაიაღმასკომის მიერ შემუშავებულია პროექტი და დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვა ლენინის სახელობის ძეგლის ასაშენებლათ სურამში. ძეგლთან გამოყვანილი იქნება აგრეთვე წყაროც.

— **გლეხკომების ყრილობა ზუგდიდში.** 5 ივლისს ზუგდიდში გაიხსნება გლეხკომების სამაზრო ყრილობა.

— **საგლეხო მომგებიანი სესხი.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ხელმეორეთ დაუგზავნა, ცირკულიარული განკარგულება გლეხკომებს საგლეხო მომგებიანი სესხის ობლიგაციების გავრცელების საქმის შესახებ.

— **ბრძოლა მალიარიასთან.** აჭარის სახკომსაბჭომ გადასცა ჯანმრთელობის კომისარიატს 3.500 მანეთი აჭარაში ციებ-ცხელებასთან საბრძოლველათ.

— **სტატისტიკური კურსები.** ა. კ. სამხკომსაბჭომ მიანდო ამხ. გრიგორიანს მოაწყოს სტატისტიკური კურსები 75 კაცისათვის.

— **ეკლესიის დახურვა.** ქალ. აღმასკომის დადგენილებით დაიხურა მისიონერების ეკლესია და შენობა გადაეცა მე-40 შრომის სკოლას.

— **მბეჭდავთა კლუბი.** მბეჭდავთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე კლუბისათვის შესაფერი ბინის დათმობის შესახებ.

— **ალექსანდრეს ბაღის განათება.** ამ დღეებში დამთავრდება ალექსანდრეს ბაღის ელექტრონი განათება, რის შემდეგაც სიარული შეიძლება ღამის 2 საათამდე.

— **საზღვარ. გარედ მივლინება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა საფრანგეთში მიავლინა საბებიო ინსტიტუტის დირექტორი სებასტიანსკი ამ დარგში უკანასკნელ მიღწევათა შესასწავლათ,

— **ხიდების აგება.** ქალ. აღმასკომმა გადასდო 17.000 მანეთი მანგლის-წალკას და ტფილისს შორის 4 ხიდის ასაგებით.

— **შემოსავალი ღამის ტრამვაიდან.** ღლიდან ტრამვაის ღამე ამუშავებისა ღამის ტრამვაის წმინდა შემოსავალი უდრის 4.975 მანეთს.

# ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

**ᲙᲐᲠᲗᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲓᲐᲛᲞᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.**

კართოფილის მოყვანას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მეურნეობაში. ის იძლევა კარგ და ნოყიერ საკვებს საქონლისა და ადამიანისათვის. ამიტომ კართოფილის ძლიერი მტერის „სიდამპლის" წინააღმდეგი ზომებიც ისეთი უნდა იყოს, რომ ამ მავნებელმა მოსავალს არაფერი დააკლოს და მომავალში ვერ განვითარდეს. ამის და მიხედვით სიდამპლის საწინააღმდეგო საშუალებანი შეიძლება გავყოთ ორ ნაწილათ: გამაფრთხილებელი და პირდაპირი. უმთავრესი მნიშვნელობა გამაფრთხილებელ ზომებს აქვთ. როცა ავადმყოფობა უკვე გაჩენილია მისი წამლობა და მით უმეტეს მოსპობა ბევრათ უფრო ძნელია.

კართოფილის ყველა ჯიშებს ერთნაირათ ვერ აზიანებს ეს ავადმყოფობა. ამიტომ ცდისა და დაკვირვების საშუალებით უნდა გამოიძებნოს ამა თუ იმ კუთხისთვის ისეთი კართოფილის ჯიშები, რომლებიც შედარებით ნაკლებათ ზიანდება და კარგათ უძლებს სიდამპლეს.

არ ვარგა ერთსა და იმავე მიწაზე რამოდენიმე წელიწადს ზედი-ზედ კართოფილის თესვა. საჭიროა თესლთა ბრუნვა.

სათესლე მასალა სრულებით საღი და დაუავადმყოფებელი უნდა იყოს. ამისათვის ის უნდა შევკრიბოთ ისეთ ადგილიდან სადაც ეს ავადმყოფობა არ იყო. იმ მინდვრიდან აღებული სათესლე მასალა სადაც ავადმყოფობა იყო არ ვარგა, რადგან ხშირათ კართოფილი ასეთ ადგილებიდან საღი შეხედულებისაა, მაგრამ დაავადმყოფებული მაინც არის.

კართოფილის დასათესათ უნდა ამოარჩიოთ მშრალი ქვიშნარები, ორი-სამი წლის წინ გაპოხიერებული. არ უნდა დათესოთ კართოფილი ახალ გაპოხიერებულ მიწაზე, მით უმეტეს თუ ის ახალი ნაკელითაა განოყიერებული. ნაკელში ხშირათ არის სიდამპლის სოკოს სპორები. (თესლები). კართოფილი კარგ ამინდში უნდა შეიკრიფოს. მოსავალის შეგროვების შემდეგ დარჩენილი უვარგისი ნაწილები დაწვათ, რათა ფოთლებზე მყოფი სპორები მოისპონ. როცა კართოფილს ფოთლებზე აღმოაჩნდება ავათმყოფობა მის მოსასპობათ უნდა ვასხუროთ ბორდოს სითხე. მისხურება ყოველ ორ-სამ კვირაში ერთხელ უნდა. კარგია თუ ამ სითხეს ნიადაგზედაც ასხურებთ,

მეურნე.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

**ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ.**

ორი დიდი სენსაცია აღიმართა ჩვენს წინაშე ამ მოკლე ხნის განმავლობაში. ერთი იყო მთვარეზე მაშხალის გაშვების შესახებ და მეორე კი გამანადგურებელი სხივების გამოგონება. არა ნაკლებ სენსაციის შესახებ იტყობინებიან ამ ჟამად. ინგლისში მოუხდენიათ ერთგვარი მაშხალის გამოცდა, რომელიც უშვებს მაღლიდან გახურებულ ლითონის წვიმას. წვიმა ჰფარავს 8—15 კილომეტრის რადიუს სივრცეს. სახელსაც კი ასახელებენ იმ ადგილისას სადაც ეს საოცარი ცდა მოუხდენიათ. სოფელი ნორტ-ფერაიო გამხდარა ამ საოცრების მოწამე. მაშხალის გამომგონებელი ერნს უელჩი აცხადებს, რომ მაშხალა ანადგურებს ყოველგვარ სისტემის ჰაეროპლანს და მისი ნახეთქები ხვრეტს ფოლადს და ცემენტსაცო.

მომხდარი ცდის დროს განგებ იხმარეს მცირე მოცულობის მაშხალა, რადგან დიდი მაშხალა გაანადგურებდა მთელ არე მარესო. შემდეგი ცდები უფრო ფართო მაშტაბით განმეორებული იქმნა მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით. ირწმუნებიან, რომ ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები მეტად დაინტერესებული არიან ამ გამოგონებით.

როგორც იტყობინებიან ამერიკას უკვე დაუწყია გამომგონებელთან ვაჭრობა აპარატის შესყიდვის მიზნით. ასე იტყობინებიან ლონდონიდან.

**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲣᲜᲐᲘᲖᲔ.**

ქ. ვენის ახლოს ამ ჟამად კეთდება ახალი ტიპის მოტორიანი ნავები მდინარე დუნაისათვის. ნავები თავისი აგებულებით ერთობ წააგავენ პატარა ტანკებს პროპელერებით. ნავი აღჭურვილია ორი მატორით 320 ცხენის ძალით თითეული.

ნავს 4 არშინი განი აქვს და 13 არშინი სიგრძე. ნავს ადვილად შეუძლია ერთი ტალღიდან მეორეზე გადახტომა. ერთი საერთო კაიუტაა ნავში, რომელშიდაც მოთავსდება 40—50 კაცამდე. თუ გამოცდის დროს გამოირკვა, რომ ნავს შეეძლება საათში 50 მილის გავლა. მაშინ ის საუკეთესო იქნება სამხედრო ფლოტისათვის.

შეიხი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. მგელაძეს.** თქვენი წერილი კედლის გაზეთების შესახებ არ გავა, ამის შესახებ უკვე იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. სამხკორებს.** გაზ. „წითელი არმიელის" რედაქცია გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში და მიიღოთ ივნისის თვის თქვენი ხვედრი გონორარი.


ნ. დ. . ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.